Capalac Fußbodenlack

უსუნო ალკიდური ფისის ლაქი ხის იატაკებისთვის - ინტერიერში გამოსაყენებლად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ცვეთამედეგი, კარგი დაფარვის უნარის მქონე, ალკიდური ფერადი ლაქი - საცხოვრებელ სივრცეში ხის იატაკებზე გამოსაყენებლად.

თვისებები

- ძლიერ ცვეთამედეგი
- კარგი დაფარვის უნარით
- არომატების გარეშე
- საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებების მიმართ მედეგი

მასალის შემკვრელი

უსუნო გამხსნელების შემცველი, ალკიდური ფისი.

შეფუთვა

- ColorExpress: 1 ლ, 2,5ლ, 10ლ

ფერი

კოლირება შესაძლებელია ColorExpress-ის სისტემაში შემავალი (Capalac mix) მრავალფეროვანი ფერებით, რომლებიც არ აღემატება სიღიავის კოეფიციენტ 70-ს.

სიპრიალის ხარისხი

მბზინავი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ პირობებში, მჭიდროდ თავდახურულ მდგომარეობაში.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლოებით 1,0 გ/სმ³

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია№ 606-ის მიხედვით

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	–	–	–
(–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ხის იატაკი. ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და ადჰეზიის დამაბრკოლებელი ნივთიერებებისგან თავისუფალი. ზედაპირზე ან ხეში შეღწეული ხის საწმენდი საშუალებების ნარჩენებმა შეიძლება გამოიწვიოს გაშრობის დროის შესამჩნევი ზრდა. ხის ძველი იატაკები და კიბის საფეხურები უნდა მოიხვეწოს პარკეტის მოსახვეწი მანქანით. ხის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს.

ზედაპირის მომზადება

დაუფარავი ზედაპირი: დაიშლიფოს ბოჭკოების გასწვრივ, გასუფთავდეს და მოშორდეს ხის შემადგენელი ნივთიერებები, მაგ. ხის ფისი.

ძველი მზიდუნარიანი დანაფარები: დაიშლიფოს და გაიწმინდოს. არამზიდუნარიანი საფარი მოშორდეს.

დატანის მეთოდები	Capalac Fußbodenlack-ი შესაძლებელია დატანილ იქნას ფუნჯით, ან სამღებრო გორგოლაჭით. დამუშავებამდე მასალა საგულდაგულოდ ამოურიეთ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაზავება ხელოვნური ფისის გამხსნელით ან Caparol AF-გამხსნელით (უსუნო). შრობის პროცესის დაჩქარება შესაძლებელია Capalac PU-Härter-ის მეშვეობით.

დაფარვის სტრუქტურა

ზედაპირი	გამოყენების არე	ზედაპირის მომზადება	გრუნტი	შუალედური ფენა	საბოლოო ფენა
ხის იატაკი	ინტერიერი	გაიშლიფოს / გაიწმინდოს	სუფთა ხე: 10-15%-ით გაზავებული Capalac Fußboden-lack	Capalac Fußboden-lack [2]	Capalac Fußboden-lack
ძველი მზიდი დანაფარი	ინტერიერი	გაიშლიფოს / გაიწმინდოს	- [1]	Capalac Fußboden-lack [2]	

[1] დაზიანებული ადგილები დაიგრუნტოს 10-15%-ით გაზავებული Capalac Fußbodenlack-ით
[2] საბოლოო ფენის დატანამდე გაიშლიფოს

ხარჯი	დაახლოებით 80-100 მლ/მ² ერთ ფენაზე. მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემო თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სასინჯი დატანით.
გამოყენების პირობები	**მასალის გარემოს და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა:** არანაკლებ +5°C.-სა, იდეალური +12°C-დან +25°C-მდე.
შრობის დრო	20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მტვრისადმი მედეგია 5 საათში. შეხებით მშრალია 24 საათში. სრულიად მშრალია 48 საათში ,ხოლო 3 დღე-ღამეში შესაძლებელია სრული დატვირთვა (ზოგადი დატვირთვა საცხოვრებელ სივრცეში). ჰაერის დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის პირობებში, ისევე როგორც არასაკმარისი განიავებიოსას, ეს ვადები მატულობს. შრობის ვადების საგრძნობი ზრდა და ასევე ზედაპირის დაზიანებები შეიძლება გამოწვეული იქნას სველი ლაქის ფენის გადამეტებულმა სისქით, ვინაიდან, ლაქი შრება ოქსიდაციის გზით, ანუ ჟანგბადთან ურთიერთქმედებით. ამიტომ ყურადღება მიაქციეთ, რომ ლაქი დატანილი იქნას ალკიდური ფისის ლაქებისთვის მიღებული სისქით (დაახლ. 75–100 µმ). მიზანშეწონილია PU-Harter (შემსქელებელი)-ის გამოყენება.
ხელსაწყოების წმენდა	სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს White-Spirit-ით (გამხსნელის ტიპი).

შენიშვნები

რისკები / რჩევები უსაფრთხოებისთვის	მარტივად აალებადი, ცეცხლსაშიში. ხშირი შეხებისას შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დახეთქვა. მოარიდეთ ბავშვებს! მოარიდეთ ცეცხლს - არ მოწიოთ. მიფრქვევის დროს არ შეისუნთქოთ. მოარიდეთ კანზე, თვალში ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოიყენეთ მხოლოდ კარგად ვენტილირებულ შენობებში. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყლის მილებსა თუ ნიადაგში მოხვედრა. გადაყლაპვის შემთხვევაში: გამოიბანეთ პირი წყლით, არ გამოიწვიოთ ხელოვნურად პირღებინება. შესაძლებელია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. მასალის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას ძველი ლაქების მიმღებ პუნქტში.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/i): 500 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 430 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	M-LL01
შემადგენლობა	ალკიდური ფისი, ალიფატები, მიზნობრივი ადიტივები, შრობის ხელშემწყობი ნივთიერებები (Cobaltneodecanoat), აპკის წარმოქმნის დამაბრკოლებლები (Butanonoxim).

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge